



## დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 68

2015 წლის 7 აგვისტო

ქ. დუშეთი

**დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშეთის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის წესით შესყიდვაზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

უხლოეს პერიოდში აუცილებელია განხორციელდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშეთის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის დროულ დასრულებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისთვის. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ პირველად გამოცხადებულ ტენდერთან (SPA 140028169) დაკავშირებით, 2015 წლის 14 იანვრის N9 ხელშეკრულება შეწყდა ცალმხრივად, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო. მეორედ გამოცხადებული ტენდერი (SPA 150014827) არ შედგა, ხოლო მესამედ ტენდერი (SPA 150016920) დასრულდა უარყოფითი შედეგით.

იმის გათვალისწინებით, რომ იწურება ზაფხული და ზემოხსენებული ობიექტი მდებარეობს მაღალმთიან რეგიონში, ახალ ელექტრონულ ტენდერს კი გარკვეული დრო ჭირდება, შექმნილ ვითარებას დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აფასებს როგორც გადაუდებელ აუცილებლობას და ითხოვს თანხმობას სახელმწიფო შესყიდვა განხორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

#### გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშეთის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები

განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 52 556 (ორმოცდათორმეტი ათას ხუთას ორმოცდათექვსმეტი) ლარზე.

2. განკარგულების შესახებ ეცნობოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი